
გეომედი Geomedi

№23 (24) 2026 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი







უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, 4 ოქტომბერს, ბარში „სარდაფი'', გაიმართა დახურული ღონისძება, რომელიც ახალი სასწავლო წლისა და სტუდენტური ცხოვრების დაწყებას მიეძღვნა.

ღონისძიებამ სხვადასხვა კურსის სტუდენტებს შეკრების, ერთმანეთის გაცნობისა და უნივერსიტეტის ყოველდღიური რუტინისგან განსხვავებულ გარემოში დროის გატარების შესაძლებლობა მისცა.

საღამოს განსაკუთრებულ განწყობას ქმნიდა მოწვეული DJ, მუსიკა, გასართობი აქტივობები და სპეციალურად მოწყობილი ფოტო ჯიხური, სადაც სტუდენტებს შეეძლოთ სამახსოვრო კადრების გადაღება და ემოციების შენახვა.

ღონისძიების მთავარი მიზანი იყო არა მხოლოდ გართობა, არამედ სივრცის შექმნა, სადაც სტუდენტები თავს ერთი დიდი საუნივერსიტეტო ოჯახის ნაწილად იგრძნობდნენ, დაამყარებდნენ ახალ მეგობრულ კავშირებს და ერთად შექმნიდნენ სასიამოვნო მოგონებებს.

Welcome Party კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სტუდენტური ცხოვრება მხოლოდ აკადემიური პროცესით არ შემოიფარგლება — ის ახალი ურთიერთობების, საერთო გამოცდილებებისა და დაუვიწყარი მომენტების ერთობლიობაა.





ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო უნივერსიტეტ გეომედის დელეგაციის ვიზიტი ინდოეთში, Swami Vivekanand Subharti უნივერსიტეტში.

ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რექტორის მოადგილე, პროფესორი ალექსანდრე ლოლაძე და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ეკატერინე-მადონა ბუაძე შეხვდნენ Swami Vivekanand Subharti უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერსა და აღმასრულებელ დირექტორს, დოქტორ შალია რაჯ-ს.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განიხილეს ორ უნივერსიტეტს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის გაძლიერებისა და გაფართოების შესაძლებლობები, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური პერსონალისთვის. კერძოდ, განხილულ ძირითად მიმართულებებს შორის იყო: მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის კლინიკური და საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამების შექმნა, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციების, სამეცნიერო შეხვედრების, სემინარებისა და ვორქშოფების ორგანიზება; დიპლომისშემდგომი და უწყვეტი სამედიცინო განათლების მიმართულებით თანამშრომლობის განვითარება და ა.შ.

Swami Vivekanand Subharti უნივერსიტეტში სტუმრობა მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტ გეომედისათვის, რადგან ის ხელს შეუწყობს გლობალური აკადემიური პარტნიორობის გაფართოებას და სტუდენტებისა და აკადემიური საზოგადოებისთვის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიულ შესაძლებლობებს შექმნის.



უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები. თამაში მიმდინარეობდა საინტერესო კითხვებისა და დისკუსიების ფონზე, მეგობრულ და ამავდროულად, კონკურენტულ გარემოში. შეჯიბრი ცოდნის, ლოგიკური აზროვნებისა და გუნდური მუშაობის წარმოჩენის შესაძლებლობა იყო. გამარჯვება მოიპოვა მედიცინის ფაკულტეტის გუნდმა.

ღონისძიების მიზანი სტუდენტებში ინტელექტუალური აქტივობების პოპულარიზაცია და საუნივერსიტეტო ცხოვრების გამრავალფეროვნება იყო.



საზოგადოებამ MedLink-ი წარმატებით ჩაატარა ინტერაქტიული ონლაინ სესია „ექიმის სამოქმედო გეგმა“. ღონისძიების მიზანი იყო სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტების დახმარება FMGE გამოცდებისთვის მომზადებაში, პრაქტიკული რჩევებისა და ახალგაზრდა ექიმების რეალური გამოცდილებების გაზიარება.

სესიის სპიკერები იყვნენ დოქტორი რიტიკა ბჰატია, Civil Hospital-ის სტაჟიორი, MedLink-ის დამფუძნებელი და ყოფილი პრეზიდენტი. ასევე დოქტორი საკეტ გაური, სტაჟიორი და სამედიცინო კონტენტის შემქმნელი.

მომხსენებლებმა გაუზიარეს სტუდენტებს გამოცდებისთვის მომზადების ეფექტური სტრატეგიები, გააცნეს აუცილებელი სასწავლო რესურსები და გაარჩიეს გავრცელებული შეცდომები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გამოცდის დღის ორგანიზაციულ მომენტებს, ასევე აკადემიური პასუხისმგებლობებით დატვირთულ პერიოდში სტრესთან გამკლავების მეთოდებს.

შეხვედრის მთავარი მოვლენა იყო მომხსენებლების მიერ წარმოდგენილი პირადი ხუთსაფეხურიანი გეგმა FMGE გამოცდებზე წარმატების მისაღწევად, რასაც მოჰყვა საინტერესო კითხვა-პასუხის სესია. სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ საინტერესო კითხვები, მიეღოთ აუცილებელი და სასარგებლო რეკომენდაციები.

მსგავსი ინიციატივების მეშვეობით, MedLink-ის საზოგადოება აგრძელებს სტუდენტებთან სწავლების, მენტორობისა და პრაქტიკული ცოდნის გაზიარების წახალისებას, რაც ეხმარება სტუდენტებს იყვნენ თავდაჯერებულები პროფესიონალად ჩამოყალიბების გზაზე.



ბათუმში სასტუმროში „შერატონ ბათუმი'' საქართველოს ანესთეზიოლოგთა და რეანიმატოლოგთა ასოციაციის ორგანიზებით და აჭარის მთავრობის პატრონაჟით ჩატარდა ანესთეზიოლოგიისა და ინტენსიური თერაპიის მეცხრე საერთაშორისო კონფერენცია - „გეოანესთეზია 2026''. კონფერენცია მიეძღვნა სეფსისის აქტუალურ საკითხებს. მასში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტ გეომედის რექტორის მოადგილემ ალექსანდრე ლოლაძემ. მან წარადგინა მოხსენება თემაზე: „დამწვრობით გამოწვეული სეფსისი: ადრეული ამოცნობა და თანამედროვე მარკერების როლი“ (Burn-induced sepsis: early recognition and the role of modern markers).

სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდნენ საერთაშორისოდ აღიარებული სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც განიხილავდნენ ანესთეზიოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის სფეროში არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებს.



გეომედის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით 14 ოქტომბერს სტუდენტებისთვის მოეწყო ექსკურსია ჭიათურის მიმართულებით. ექსკურსიის ფარგლებში მონაწილეებმა მოინახულეს რეგიონის გამორჩეული ღირსშესანიშნაობები, მათ შორის კაცხის სვეტი, სამწვერას ჩანჩქერი და მაცხოვრის შობის მონასტერი. ექსკურსიამ სტუდენტებს შესაძლებლობა მისცა, გაცნობოდნენ საქართველოს კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას, გაეზიარებინათ შთაბეჭდილებები და გაეძლიერებინათ ურთიერთობები უნივერსიტეტის გარემოს მიღმა.



მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებასა და საერთო, დაუვიწყარი მოგონებების შექმნას. გეომედის სტუდენტური თვითმმართველობა მომავალშიც გეგმავს სტუდენტებისთვის სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას.



ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო თვესთან დაკავშირებით, ოქტომბერში, უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტური კლუბის - GRACE -ის მიერ ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიება GIMSOC-თან (Georgian International Medical Student Society) თანამშრომლობით MedCon'26-ის ფარგლებში ჩატარდა და მიზნად ისახავდა ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და ონკოლოგიური პაციენტების ზრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობების მხარდაჭერას. საღამო გაჯერებული იყო გასათობი და საინტერესო შემოქმედებითი აქტივობებით, თამაშებით, მუსიკითა და პრიზების გათამაშებით.



ქ. თბილისი, მეფე სოლომონ II -ის ქუჩა #4. ტელ: 275-25-20 ვებგვერდი: www.geomedi.edu.ge ელ-ფოსტა: info@geomedi.edu.ge
პასუხისმგებელი პირები: ნათია ბუაძე, ნანა ცერცვაძე